

ნიკა ქობალია

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია

„კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების მომენტიდან მიზნად დავისახე, რომ გაცვლით პროგრამაში მიმეღო მონაწილეობა. უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა რომ ჩემი უდიდესი სურვილი ამეხდინა. მე-4 კურსის პირველ სემესტრში Erasmus + პროგრამის ფარგლებში, ვიყავი წასული სლოვენიაში, კერძოდ, ლუბლიანას უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე.

უცხო ქვეყანაში ერთი სემესტრით წასვლა და სრულიად სხვა გარემოში ყოფნა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება იმ გარემოსგან, რომელიც შენთვის ნაცნობია, ძალიან საინტერესოა. გარდა იმისა, რომ გაქვს უნიკალური შესაძლებლობა, გაეცნო უცხოური სწავლის ახალ მეთოდებს, ასევე გაქვს შესაძლებლობა, გაეცნო სხვადასხვა კულტურას, იმოგზაურო და დატკბე სხვა ქვეყნის უნიკალური სანახაობებითა და ღირსშესანიშნაობებით. დამოუკიდებლად ცხოვრება გაძლევს საშუალებას, რომ განავითარო პერსონალური და პროფესიული უნარები, რომელიც მომავალში აუცილებლად დაეხმარება თითოეულ ადამიანს. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარს, რასაც Erasmus+ იღებს მონაწილე, არის Networking-ი. საშუალება, რომ გაიცნო ახალი ხალხი, რომელიც იზიარებს შენს მსოფლმხედველობას, ძალიან სასიამოვნოა.

ყველას მოვუწოდებ რომ ეს უნიკალური შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან.“